ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7630749

ნომერი: AR11106973

თარიღი : 10.09.2025

გაცემის თარიღი : 17.09.2025

გაცნობის თარიღი : 18.09.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით თავხელიძეს ქუჩა, N 1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, დავით თავხელიძეს ქუჩა, N1ა, საკადასტრო კოდით 01.14.03.039.063.05.02.503, საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე კონდიციონერის გარე აგრეგატების განთავსებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 892025007560 , 04/09/2025წ. საკადასტრო კოდი N 01.14.03.039.063.05.02.503; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა;) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, დავით თავხელიძეს ქუჩა, N1ა, საკადასტრო კოდით 01.14.03.039.063.05.02.503, საკუთრებაში არსებული ფართის ფასადზე კონდიციონერის გარე აგრეგატების განთავსების შესაძლებლობას.
ამავე დროს გაითვალისწინეთ: – სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.